ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 27 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა სიჭინავა
2. იგორ გოგოლაძე
3. კახა ლატარია
4. ფრიდონ შონია
5. ბეჟან ქირია
6. გენადი ზარანდია
7. გენადი ქაძანაია
8. მალხაზ ყურუა
9. ედიშერ წურწუმია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. თენგიზ აბაკელია

სხდომას თავმჯდომარეობდა გ. სიჭინავა - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 25 იანვრის N05/136 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"; „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"; „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტების თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -11, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"; „ხობის მუნიციპალიტეტის

გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ გამგებლის წერილით წარმოდგენილია ოთხი საკითხი და კომისიის წევრებს საკითხები გააცნო შემდეგი თანმიმდევრობით:

1. განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. პირველი პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხორციელდება შემდეგი ცვლილება: ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მდებარე ქალაქი ხობი ცოტნე დადიანის ქ. N185-ის მე-4 სართულზე, რომლის ფართი შეადგენს 103,42 კვ.მ-ს საკრებულოს N61 განკარგულების საფუძველზე უნდა გაცემულიყო იჯარის წესით, რაც დღემდე ვერ განხორციელებულა, რის გამოც ზემო აღნიშნული ფართი დაუტვირთავია. ამ ეტაპზე ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად საკრებულოს N61-ე განკარგულებიდან ამოღებულ იქნა ზემო აღნიშნული ფართი და მეორე პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ გამგებელს ეძლევა თანხმობა ფართის იჯარით გაცემის შესახებ.

2. განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ გამგეობის შესაბამისი სამსახურის წინადადების საფუძველზე ჩამოსაწერად მომზადდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ტექნიკა ტრაქტორი „ბულდოზერი დზ-42“ , რომელიც მუნიციპალიტეტს გადმოეცა ხობის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად, აღნიშნული ქონება აუდიტის დასკვნის საფუძველზე ამორტიზებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისია.

3. განკარგულების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონება: ავტომანქანა „ზილ 131“, ავტომანქანა „გაზ-53“, ტრაქტორი „დზ 42“ და შავი ლითონის ჯართი, რომლებიც ლიკვიდაციამდე სარგებლობის უფლებით გადაცემული ჰქონდა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრს, სრულიად ამორტიზებული და უვარგისია მოხმარებისთვის, რაზედაც არსებობს აუდიტის შესაბამისი დასკვნები, გამგეობის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი პრივატიზება კანონით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა სთხოვა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი საკითხები და კომისიის დასკვნები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხები და კომისიის დასკვნები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა